საქართველოს მოსამართლეთა XXXIV რიგგარეშე კონფერენცია

3 მაისი, 2025 წელი
იუსტიციის უმაღლესი სკოლა
(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ:
მოსამართლეთა რეგისტრაცია

12:00 - 15:00 სთ:

1. **ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით** *(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).*

2. **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა** *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის საბჭოს იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*

3. **საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი/წევრების არჩევა** *(კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით).*